საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №08/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 15 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 12 სექტემბრის №08/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში იმყოფებოდა -- -- და -- -- მიმართ სს საქმე. აღნიშნულ საქმეზე, საჩივრის ავტორი ეჭვს ქვეშ აყენებს სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) კანონიერებას, მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საფუძვლებით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 10 იანვრის განაჩენით:

- -- -- მიმართ საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 226-ე მუხლზე (2018 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 226-ე

მუხლით (2018 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვალა დაეწყო 2017 წლის 23 აპრილიდან.

- -- -- მიმართ საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 226-ე მუხლზე (2018 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 226-ე მუხლით (2018 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვალა დაეწყო 2017 წლის 23 აპრილიდან.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორი ეჭვს ქვეშ აყენებს სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) კანონიერებას, მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საფუძვლებით, თუმცა, მოცემული საკითხი დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია შემოწმდეს, შემდეგ სამართლებრივ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხზე მსჯელობა მოითხოვს მტკიცებულებათა რელევანტურობის, უტყუარობის კუთხით, სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი დასკვნების შემოწმების აუცილებლობას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ამგვარ სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე --- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №08/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი